1/1967

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ფირცხალავასი

# ნიანგი

№ 6 (1256) თბილისი, მარტი 1967
გამოცემის 44-ე წელი
ფასი 20 კაპ.



— ბრაკონიერო თევზაძევ! სად ისროლეთ დინამიტი?!
— გასულ კვირას თქვენ რომ ისროლეთ, ცოტა იმის ქვემოთ.

კარლო რაჟდენის ძე კალაძეს — გამოჩენილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ა. წ. 29 მარტს დაბადების 60 წელი შეუსრულდა.

მრავალმხრივმა და ნაყოფიერმა შემოქმედმა — პოეტმა, დრამატურგმა მთარგმნელმა, პუბლიცისტმა, სატირიკოსმა და იუმორისტმა შესანიშნავი და მაღალმხატვრული ნაწარმოებებით გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა.

კარლო კალაძე წლების მანძილზე რედაქტორობდა ჟურნალ „ნიანგს", მის ფურცლებზე ბეჭდავდა და ცალკე წიგნებად აქვეყნებდა თავის მძაფრ სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებებს.

ნ ი ა ნ გ ი წიგნთა პალატის დირექტორის კაბინეტში ეწვია საიუბილეო პოეტს, სულითა და გულით მიულოცა დაბადების სამოცი წლისთავი და სამოცი შეკითხვა მისცა, მაგრამ კარლოს საიუბილეო საღამოზე მიეჩქარებოდა და მარტო 4 კითხვაზე მოასწრო პასუხის გაცემა. დანარჩენებზე კი, 100 წელი რომ შემისრულდება, მაშინ გიპასუხებო, — უთხრა.




მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი

## საკარლოო სალ...

მზე ქართულ ლექსზე ამოხდის
ლექსკაცს — კალაძე კარლოს,
დღეს დაამრგვალა სამოცი,
მეც დამრგვალებით დავულოცავ:
დაწერა აურაცხელი
ლექსი, პოემა, ბალადა...
(აქამდე როგორ გაძლეთ,
უმისოდ, წიგნთა პალატავ?!)
მუდამ დგას ქართულ სუფრასთან,
(თავში და არა — ბოლოში),
როგორც თამადა სრულფასი,
როგორც როდოსის კოლოსი...
უნდა დასცალო სალხინო,
ფარ-ხმალი უნდა დაყარო,
როდესაც ენამახვილობს
კარლო... და მერე რა კარლო!
ტრიალებ თვალისცეცებით
მისი სიტყვების ლონეში,
მისი ხალასი ლექსების
და იუმორის მორევში...
თან ეუბნები ხმამაღლა:
„სიცილით რატომ მომკალო,
ვერ გადავრჩები ამაღამ,
ძვირფასო ბატონო კარლო!"
ამ იუბილეს ვულოცავ
კალაძეს — კალამდალოცვილს:
დე, საქმეს საერთგულოსა,
კვლავ აჩნდეს ხელი კარლოსი!
გაგვიხალისოს გუნება,
მოეხმაროს მისსა „ნიანგსაც";
„ნიანგთან" არდამდურება
აროდეს მისცემს ზიანსა.

ბათუ მელია

# ინტერვიუ ოთხი კითხვით

**ნიანგი: ცხოვრებისმოყვარულ კაცად ითვლებით. თქვენი ლექსი, თავისი ბუნებით, მუდამ მხნე და ოპტიმისტურია. როგორ გგონიათ, რით არის გამოწვეული ეს?**

**კარლო კალაძე:** კაცს, რომელსაც იუმორის გრძნობა არა აქვს, არც გამჭრიახი თვალი და გონება გააჩნია, რომ ცხოვრების ავ-კარგი გაარჩიოს.

როცა ხალხს თავს მხიარულად ვაჩვენებ და მოსწრებული სიტყვებით ვცდილობ ვინმე გავალიმო, ამის ასახსნელად არც სოციალური და არც ბიოლოგიური ექსკურსი არაა საჭირო. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ბუნებით ძალიან მოწყენილი და სევდიანი ხასიათის კაცი ვარ, მაგრამ ერთი რამ მჭირს: არ შემიძლია ვუცქირო მწუხარე და ნაღვლიან სახეს, — სურვილი მებადება, როგორმე გავალიმო იგი და თავს ვიკლავ, ძალ-ღონეს არ ვიშურებ, რომ ასეთი ნაღვლიანი და ულიმღამო სახე გაღიმებული და თვალებგაბრწყინებული დავინახო. ჩემი კაიკაცობა ცხოვრების სიყვარულია. ეს არის სულ.

**ნიანგი: თქვენ „ნიანგის" რედაქტორიც იყავით და სამი ფსევდონიმიც გქონდათ— კუჩხა ბედნიერი, დელი ოდილავაძე და გოგოთურ მიგრიაული. რას იტყვით სატირისა და იუმორის შესახებ?**

**კარლო კალაძე:** რედაქტორი და იუმორისტი სხვადასხვა რჯულისანი არიან. მე რომ „ნიანგის" რედაქტორად დამნიშნეს, 5 წელი თავისუფლად აღარ მიხუმრია. იუმორისთვის აუცილებელია ჰიპერბოლა, გადაჭარბება, გროტესკი. რედაქტორი ცდილობს, ყოველივე ეს სინამდვილის მკაცრ ნორმას დაუმორჩილოს. რედაქტორი წითელი მელნით ასწორებს და მაკრატლით ჰკვეცს, იუმორისტი კი შავი ფუნჯით ანაწილებს შუქსა და ჩრდილს.

იუმორისტს შეუძლია, მაგალითად, დაწეროს: „ძუკუ წინწავას, სანამ მმართველად დააწინაურებდნენ, მტკვრის მარცხენა სანაპირო შემოეჭამა". ჩვენ ვკითხულობთ ამას და სიმართლეს ვგრძნობთ. ვიცინით. რედაქტორს კი სხვადასხვა გარემოება ავალდებულებს, ეს ფრაზა შეასწოროს, — ძუკუ წინწავას მაგიერ კონკრეტული გვარი ჩასვას. მ მ ა რ თ ვ ე ლ ა დ დ ა წ ი ნ ა უ რ ე ბ ა, საერთოდ, ამოშალოს. მტკვრის მარცხენა სანაპირო ნამდვილი სახელით, ხოლო მითვისებული თანხა ზუსტად 18.676 მანეთით აღნიშნოს. როცა ასე გადაკეთებულ მასალას წაიკითხავთ, სასაცილო უკვე აღარაფერია.

**ნიანგი: თქვენი მეგობრული შარჟი არა ერთხელ დაბეჭდილა. რას იტყვით ამის შესახებ?**

**კარლო კალაძე:** ზოგიერთი დღევანდელი მხატვრის ნამუშევარს რომ ვუყურებ, ნამდვილ პორტრეტს ყოველთვის შარჟი მირჩევნია, ნამდვილ პორტრეტში ზოგჯერ ყური თავის ადგილზე არ არის და თვალი. შარჟში კი ასეთი რამ სულ სხვა განწყობილებას აღძრავს, შარჟი პერსონის სიყვარულს იწვევს მუდამ, პორტრეტი — დაპირისპირებას, პოზას, სერიოზულობას. პორტრეტი გულზე ხელს გვკრავს ხშირად. შარჟი კი საკუთარ სიძლიერესა და სიმაღლის გრძნობასაც გვიმატებს...

**ნიანგი: რას უსურვებთ „ნიანგს"?**

**კარლო კალაძე:** ჩემი რედაქტორობის დროს სულ ვცდილობდი და ვერ მოვახერხე, რომ ერთადერთი ქართული სატირულ-იუმორისტული ჟურნალისთვის სახელწოდება გამომეცვალა. ნიანგი ხალხმა არც კი იცის, რა არის; იცის, რომ ჟურნალია. იქნებ, თქვენ მაინც შესძლოთ და „ნიანგს" ქართული სინამდვილიდან აღებული სახელი დაარქვათ.

**ნიანგი: დიდად გმადლობთ, ბატონო კარლო!**

**კარლო კალაძე:** ა რ ა ფ რ ი ს. ა ბ ა, შ ე ნ ი ც ი!

ამბობდნენ, სიმონ პეტროვიჩი უპრინციპო რედაქტორიაო, მაგრამ მე მაინც გადავწყვიტე ერთი პატარა ნოველა მიმეტანა მასთან.

— ააა!.. სატირაა?.. — პირველი სტრიქონების წაკითხვისთანავე შესძახა რედაქტორმა, — ახლა სწორედ სატირაა დღის წესრიგში. დიდი ხანია ამ ჟანრს მისდევ?

ვუპასუხე, პირველი ცდაა-მეთქი.

— დამიტოვე, გეთაყვა, ვნახოთ...

— იქნებ აქვე წაგეკითხათ, ჩემი თანადასწრებით, და ახლავე გადაგეწყვიტათ? როგორც ხედავთ, სულ სამი ფურცელია, ხუთ წუთსაც არ წაგართმევთ. გთხოვთ! უარს ნუ მეტყვით!

სახეზე ყოყმანი აღებეჭდა. ბოლოს, კარგიო, დამთანხმდა. „ყველაზე დამახასიათებელი" — ხმამაღლა წაიკითხა სათაური და დაუმატა, — ვნახოთ ერთი, ყველაზე დამახასიათებელი რა არისო...

ის კითხულობდა, ჩემს გულს კი ბაგაბუგი გაჰქონდა. კითხვა რომ დაამთავრა, ჯერ შუბლი მოისრისა და მერე ნიკაპი.

— ერთი უყურე, რა კარგად არის ნათქვამი! — ისეთი კილოთი წამოიძახა, თითქოს ჩემი კი არა, სხვისი სტრიქონები წაეკითხოს, — რა ჭკვიანური აზრებია! აქ მთელი ფილოსოფიაა! „არაყი მშვიდია... მხოლოდ ბოთლში"... „თითზე ბეჭედი უფრო ძვირფასი ჩანს..." „მე არასოდეს ფულისთვის არ მითქვამს „მშვიდობით!", არამედ მხოლოდ — „ნახვამდის!"

— ხა-ხა-ხა! — აროხროხდა სიმონ პეტროვიჩი, მერე ცრემლები მოიწმინდა და გამომხედა.

— მაშასადამე... — ველარ დავიოკე სიხარული, მაგრამ რედაქტორი უეცრად მოიღუშა, მსუქანი თათი ისე აიქნია, თითქოს სიკვდილის აჩრდილს იშორებსო და სიტყვა ენის წვერზე შემატოვა.

— მაგრამ, მოიცა, მოიცა, მეგობარო! ეს შენი პირველი გმირი ჩვენი ალმასკომის თავმჯდომარეს მაგონებს. ეს ერთი აფორიზმი მისგან აგიღია.

ცივი წყალი გადამესხა.

— რის ალმასკომი, რის თავმჯდომარე? მე. იმ კაცს არ ვიცნობ და არც მინახავს, — ავყვირდი მეტისმეტი აღელვებისგან და ვცდილობდი, დამერწმუნებინა, რომ რაც თავი მახსოვს, არამცთუ არავისგან არაფერი მომიპარავს, არამედ საშინლად მძულდა ყველანაირი ქურდი.

— აი, ეს ერთი, — იღიმება რედაქტორი და თითს ადებს ერთ-ერთ სტრიქონს— „არაყი მშვიდია მხოლოდ ბოთლში" — მისი საყვარელი გამოთქმაა. მე თავად ბევრჯერ მსმენია მისგან პურ-მარილზე, სოკრატეს ნათქვამიაო...

— უბრალო დამთხვევაა, — შეკავებული მღელვარებით ვამბობ.

— უბრალო დამთხვევა კი არა, ცოცხალი ასლია.

— კი მაგრამ...

— მესმის, ლიტერატურული ხერხია, — თავის გაქნევით შემაწყვეტინა და ცხვირი ხელნაწერში ჩაჰყო, — ეს შენი მეორე გმირი კი ჩვენი ფაბრიკის დირექტორია...

— ეს შეუძლებელია! ჩემი გმირები აბსტრაქტულნი არიან, ზოგადნი!

— მეც არ დაგიჯერე?! ნუთუ არ გესმის, რომ ხელმძღვანელი პირების ამნაირად გამოჭენება, სხვა რომ არა იყოს რა, პოლიტიკური შეცდომაა? უარი არ გაბედო!

— მე მხოლოდ ერთი ქირურგი მყავს მხედველობაში, რომელიც, თუ გვარიან თანხას არ ჩაუჯიბავ, საოპერაციო მაგიდას სათოფეზე არ გაეკარება...

— ვერ დამაჯერებ! შენ შეგიცვლია მხოლოდ მისი თანამდებობა. „თითზე ბეჭედი უფრო ძვირფასი ჩანს", — ეს მისი საყვარელი გამოთქმაა, პლუტარქესაგან ავი-

# ზუგდიდური ტელეფონები

## რაციონალიზატორული წინადადება

**შევდივარ** მეზობელთან.

— კინოთეატრში მინდა დავრეკო, შეიძლება?!

— ახლავე, ახლავე, — ამბობს მასპინძელი, — მითხარით ტელეფონის ნომერი.

— ხუთი, ნოლი, შვიდი!

მან აკრიფა ექვსი, სამოცდათექვსმეტი.

— რას შვრები, სად რეკავ?

— მაცალე!.. ავტომატური ტელეფონის სადგურია? გეთაყვა, გამიგეთ, მუშაობს თუ არა ხუთი, ნოლი, შვიდი? მუშაობს? გმადლობთ!

— სხვათა შორის, ეს ჩემი გამოგონებაა, ძალაუნებურად რაციონალიზატორი გავხდი, — აცხადებს მეზობელი და განმარტავს: ხომ ცნობილია, ცუდ კაცთან დაახლოებით ზოგჯერ კარგი კაციც ფუჭდება. აქაური ტელეფონი ზიანდება დაზიანებული ნომრის აკრეფისას. ამიტომ მე ჯერ ვაზუსტებ — მუშაობს თუ არა ის, რომელსაც ვუკავშირდები და მხოლოდ მერე ვრეკავ... ინებეთ, ახლა შეგიძლიათ დაუკავშირდეთ.

## ამხანაგო ფოსტა, გამოიხედე გარეთ!

**იცით** როგორ მოიქცეთ, როცა რეკავთ ნოლ შვიდზე, მაგრამ ზარი ვერ აღწევს საქალაქთაშორისოს მორიგემდე? ასეთ შემთხვევაში, სასურველია, გამოიყენოთ ჩვენი ზუგდიდური მეთოდი: ზუგდიდის რაიპროკურატურისა და ფოსტის შენობები ერთმანეთს შეჰყურებენ, შუაში ჩაუდით ქუჩა.

როცა მეასედ დარეკვის შემდეგაც ვერ მიიღებთ ნოლ შვიდის პასუხს, ყურმილს ბერკეტზე დააგდებთ, ფანჯარას გამოაღებთ და დაიძახებთ: ამხანაგო ფოსტა, გამოიხედე გარეთ!

მორიგე ტელეფონისტი გამოაღებს ფანჯარას: რა იყო, ბატონო?!

— შემაერთე ჯერ სამტრედია, მერე — გალი!

— ახლავე, ახლავე!

ფანჯრები იხურება, ქუჩაში მიმავალნი ხარხარებენ, ვიღაცა ამბობს: კი ბატონო, კარგი მეთოდია, მაგრამ რა ქნას დაწესებულებამ, რომელიც შორსაა ფოსტიდან?!

**შალვა შენგელი**

## როგორ მიუყრავს ზოგიერთი კინოფილმის სახელწოდებას ზოგიერთი მოსწავლე

**„რეპორტაჟი სახრჩობელადან“** — მოსწავლე პასუხობს გაკვეთილს.

**„ბაბეტა მიდის ომში“** — მშობელი მიდის სკოლაში.

**„კეთილი ადამიანები“** — კლასის მოკარნახეები.

**„დაუპატიჟებელი სტუმარი“**—მასწავლებელი მოსწავლის ოჯახში.

**„ნარინჯის ველი“** — ბოტანიკის კაბინეტი.

**„დაკარგული სამოთხე“** — შემთხვევით მიღებული ხუთიანის მერე ორიანის მიღება.

**„ბრალდების მოწმე“** — მორიგე მშობელი სკოლაში.

**„მზვერავის გმირობა“** — კლასის ორგანიზატორი „შატალოზე“.

**„ქალიშვილი ჯუნგლიდან“** — მეთერთმეტეკლასელი მოსწავლე სკოლის დამთავრების შემდეგ.

**მოისმინა თინა ჟორჟოლიანმა**

ნახ. დ. ერისთავისა



— გაუშვი, თუ ძმა ხარ! ცოლი არ მიღებს კარებს და მე თვითონ მოვიყვანე!

## მამა — შვილი

ერთ-ერთ გაზეთში, ამასწინათ, დაიბეჭდა წერილი სათაურით — „გაბმულხარ, მიტო, მახეში“. წერილი შეეხებოდა რაიუნივერმაღის დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელს, ამხ. მიტო ოტიას ძე კემულარიას, რომლის ინიციატივით უნივერმაღში შემოდის უფაქტურო საქონელი.

წერილი განსახილველად გადაეგზავნა მიტოს რაიონის რაივაჭრობის თავმჯდომარეს.

ორი დღის შემდეგ რედაქციამ მიიღო შემდეგი შინაარსის პასუხი: „ძვირფასო რედაქციავ! თქვენს მიერ შემოწმებული და წერილში დაცინავ-იუ-მორისტულად მოცემული ფაქტები ადგილზე შევამოწმეთ და რას ვხედავთ, ყველაფერი სწორია, მამა ენაცვალოს და ღმერთმა შეარგოს მიტო ოტიას ძე კემულარიას“.

რაივაჭრობის თავმჯდომარე ოტია მიტოს ძე კემულარია.

**ჯაკუნია**

ღეო... შენი მესამე გმირი კი ჩვენი პატივცემული მოსამართლეა. მაშინვე ვიცანი. იმას ჩემი თანადასწრებით ათასჯერ გაუთათხავს ყბედი კლიენტები იმავე სიტყვებით: „მე არასოდეს ფულისთვის არ მითქვამს „მშვიდობით!“, არამედ მხოლოდ— „ნახვამდის!“ მაშასადამე, შენ აგილია არა ყველაზე დამახასიათებელი, არამედ მიგიბაძავს. ეს სატირა კი არა, ცალკეული გამოთქმების კრებულია და ღმერთმა იცის, ვისი კალმისა და ტვინის ნაყოფი. უნდა შეიგნო, რომ სწორედ ამაშია შენი ხელმოცარვა.

ყბების კანკალი ძლივს შევაჩერე.

— მაპატიეთ... მე მგონია, რომ თქვენ... ჩემი ნაწერის აზრი... პირდაპირ ვერ გაიგეთ. თქვენ მხოლოდ ზოგიერთი აზრი შეამჩნიეთ, რომლებიც, რატომღაც, სხვას მიაწერეთ. რატომ გგონიათ, რომ მხოლოდ ბერძენ ფილოსოფოსებს აქვთ ჭკვიანური აზრები?..

კიდევ მინდოდა დამემატებინა, რომ ჩვენი ეპოქა უფრო დიდი შემართების ეპოქაა, რომ ადამიანი დღეს კოსმოსში დანავარდობს, რომ დღეს ხელოვნურ გულს, ხელოვნურ თირკმელებს აკეთებენ და სხვა მრავალი, მაგრამ რედაქტორმა ისევ ასწია მსუქანი თათი და თქვა:

— ალბათ, მაგრამ კარგი იქნებოდა, დაგეკონკრეტებინა.

— რა? ვინ?..

— შენი გმირები.

— როგორ დამეკონკრეტებინა?

— ისე. მიეცი მათ პირდაპირი მისამართი, ბევრი მიხვევ-მოხვევის გარეშე.

— მე ხომ ზოგადად გადმოვეცი ყველაზე უფრო დამახასიათებელი?!. ზოგადზე ასე აღშფოთდით და რომ დამეკონკრეტებინა, რაღას იზამდით?..

— ასეა თუ ისე, საგნები თავიანთი სახელებით უნდა წარმოადგინო. ამაშია რეალიზმი. როგორ არ გესმის, რომ შეიძლება, შენთან ერთად, ჩვენც ბრალი დაგვდონ სინამდვილის დამახინჯებაში, ცხოვრების მრუდე სარკეში ჩვენებაში...

მეტი ვეღარ მოვითმინე. ერთიანად ვკანკალებდი და არ მახსოვს, როგორ გამოვტაცე ხელიდან ხელნაწერი.

— მაშ, რას მირჩევთ, რა გავაკეთო?! — მუქარის კილოთი ვეკითხები და თავს ძლივს ვიკავებ, რომ ხელნაწერი თავზე არ გადავახიო.

სიმონ პეტროვიჩი, რომელიც გასაოცარი ალღოთი კითხულობდა ჩემს ფიქრებს, მაშინვე გაიბადრა და მითხრა:

— უბრალოდ... განაგრძე წერა. ეტყობა, გეხერხება. შენ ყველა მონაცემი გაქვს, მაგრამ მაინც უნდა ისწავლო გოგოლისგან, სალტიკოვისგან და შჩედრინისგანაც.

— არაფერი მესმის. თუ მეხერხება, თუ მაქვს მონაცემები...

— დიახ, მხოლოდ მონაცემები, — მესმის უკმეხი პასუხი, — მაგრამ ოსტატობა და ცხოვრებისეული სიმართლე გაკლიათ!

— ახლა კი საბოლოოდ ავფეთქდი, წამოვხტი, მაგიდაზე მუშტი დავარტყი და ვიყვირე:

— ოსტატობა კი არა, რედაქტორი აკლია! ვაჟკაცი აკლია!..

— რაო?! — თოფისწამალივით აფეთქდა სიმონ პეტროვიჩიც, წამოიწია, და. რადგან ღიპი ძლივს ააცილა მაგიდას, სამელნე გადააბრუნა. — ერთი ამას უყურეთ?! შეუგროვებია სხვისი აზრები, ჩირქი მოუცხია სპეტაკი მუშაკებისთვის და მობრძანებულა რედაქციაში! ჩვენ გვჭირდება გოგოლები, სალტიკოვები, შჩედრინები... შენ კი საცოდავი პლაგიატორი ხარ და მეტი არაფერი! გაეთრიე აქედან!..

**თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინიატურები

ნახ. გ. გორდელაძისა.







## რა ჰქვია ამ თამაშს?

ეხერხება ტკბილი სიტყვა-პასუხი, ხელმძღვანელი ამხანაგების სული და გულია. ნარდში წააგებს უფროსთან ფულს, ჭიშს არ ეტყვის ჭადრაკში, „დამკას" არ გაიყვანს შაშში. ჰოდა, რა ქნას მეტი? კიდეც იმიტომ აქვს კარგად საქმე...

ახლაც, აგერ, ბილიარდს ეთამაშება უფროსს. ყველა კალათთან ბურთები მიუგორა მოწინააღმდეგეს, თუმცა რა მოწინააღმდეგეა მისი უფროსი? პატარა ბიძგია საჭირო და... ყველა ბურთს თავისი სახელი ჰქვია: ერთი ცოლისძმაა, მეორე — სიძე, მესამე — ქვისლი, მეოთხე — სიმამრი... ასე გაჩხირავს მათ: ზოგს საწყობში, ზოგს ბაზარში, ზოგსაც ბაზაში... მიუგორებს ბურთს კალათთან, გაუმზადებს და ყველას თანდათანობით ჩააგდებინებს, ასე ვთქვათ, მოაკალათებს.

ეხერხება ტკბილი სიტყვა-პასუხი, უფროსის თავის მოქონვა. ენატკბილი იმერელი კაცია, თამაშითაც აკეთებს საქმეს...

რა ჰქვია ამ თამაშს?

ასე — „ამერიკანკა", ისე — „იმერიკანკა".

## კარჩაკეტილ დირექტორთან

— ქალბატონო მარგარიტა, ეს თქვენ!— მოწიწებით ამოიღო ჯიბიდან პატარა, ლამაზი ბოთლი და ოთახში სუნამოს სუნი დატრიალდა.

— ეს, მგონი, უკვე მეათე შუშაა. სამწუხაროდ, ამ საჩუქარს ვერ მივიღებ და, ცხადია, ვერც უფროსთან შეგიშვებთ!

— რატომ, ქალბატონო?!

— რა ვქნა, ასე მითხრა, მაგის „დუხი" არ ვნახო აქო.

## რაციონალიზატორული წინადადება

— თუ რამე ახალი ჩაიცვა, იმ დღესვე ასველებს და თვითონაც სველდება, მომკლა ამდენმა რეცხვამ და დაუთოებამ! — შესჩივლა ავი ქმრის კეთილმა ცოლმა კეთილი ქმრის ავ ცოლს.

— მაგისთანა ქმარს სხვანაირი დაუთოება უნდა!..

## კვალიფიკაციის დადაბლება

— შენ ხომ სასოფლოში სწავლობდი?

— ვსწავლობდი.

— შენ ხომ აგრონომიული დაამთავრე?

— დავამთავრე.

— მერე?

— მერე რა მერე? ავწონე, დავწონე, გადავწონე, გადმოვწონე...

— მოკლედ, ახლა სად მუშაობ?!

— ახლა ხილის პუნქტში, მწონავად.

გაიოზ დაშნიანი.

## პირველი

— პირი ხისკენ მიქნია, და... — წამოიწყო რალაც ამბავი დათიკომ და პირი ამბაკოსკენ ჰქნა.

— აბა, ხე ვყოფილვარ მე? — იწყინა ამბაკომ.

— გადატანითი მნიშვნელობით, შე კაცო, — ჩაერია ლადიკო.

— გადატანითი? აბა, ხე ვყოფილვარ, ისიც მოჭრილი და გადატანილი. — მთლად გადაირია ილიკო.

— მოჭრით რომ ვთქვათ, ნამდვილად მახეა!— მოუჭრეს მას.

## ჯილდო ღირსეულს

ასანთის ფაბრიკის დირექტორი პრემიით დააჯილდოვეს: ფაბრიკაში ხანძარი გაჩნდა, შენობა დაიწვა, მზა პროდუქცია კი გადარჩა.

## დაწყვიტა ხალხი...

ისეთი იუმორისტული ნაწარმოებები მიიტანა რედაქციაში, რომ სიცილით მოჰკლა ყველა და აღარავინ დარჩა ცოცხალი, მისი ნაწერები რომ დაებეჭდა.

## მსჯელობს ცინიკოსი

— კაცს თბილად უნდა შეხვდე ყოველთვის, ყურადღებით. რა იცი, იქნებ, კვდება დღეს-ხვალ და რატომ უნდა წაჰყვეს ჯავრად — ესა და ეს კაცი უხეშად და უყურადღებოდ მხვდებოდაო?!

## კარუზო

სუფრა. სიმღერა...

— აბა, ჰე, გვითხარი მეორე!

— მეორეეე...

— ვაი, შენს პატრონს!..

## ექიმთან

— რა გაწუხებთ?

— კუჭის წყლული, მეზობელი გოგოს შავი თვალები და ჩემი ქვისლი დოროთეს „ვოლგა".

## ბუზების მწვრთნელი

მიუღწეველს მიაღწია ბუჭუტიამ — ბუზების მწვრთნელი გახდა! წამოწოლილია მთელი დღე ტახტზე და ეს ბუზები ისე ჰყავს მოთვინიერებული, რომ ასხდებიან თავზე, ცხვირზე, შუბლზე, ნიკაპზე... აუქნევს ხელს ბუჭუტია, წამოიშლებიან ბუზები... დაიკრეფს ბუჭუტია გულზე ხელებს, დაასხდებიან ბუზები...

თამაზ სალუქვაძე

ნახ. ა. ერაძისა





## იცი თუ არა?

...**რომ** დღევანდელი დღე სავსეა მოულოდნელობებითა და უცნაურობებით, რომ ბაზრის ქორვაჭართა ფასებს პარადოქსალურ საკვირველებამდე მივყავართ, რომ თურმე:

...**350** გრამი ნიახურის სათასურით შეგიძლიათ ერთი ჩითის საკაბე იყიდოთ.

...**რომ** ორი კილო ვაშლით — ორი ფუთი ხორბალი,

...**რომ** ერთი კილო ყვავილოვანი კომბოსტოთი — ნახევარი ფუთი მაკარონი ან ვერმიშელი.

...**რომ** ერთი კილო პრასით — კილონახევარი ახალი ხორცი.

...**რომ** ათი ცალი კვერცხის ფასით შეიძლება სწრაფი კომფორტაბელური მატარებლით თბილისიდან თელავამდე იმგზავროთ.

...**რომ** ორი ინდაურის სათასურით „ტუ-104"-ით 2 საათსა და 15 წუთში მოსკოვში ამოჰყოთ თავი.

...**რომ** ერთი ფუთი კარტოფილით შეგიძლიათ ავტობუსით იმგზავროთ ზაქათალიდან თბილისამდე, მიიღოთ აბაზანები გოგირდის აბანოში, წვერი გაიპარსოთ, ნახოთ ნებისმიერი უცხოური ფართოეკრანიანი ფერადი მხატვრული ფილმი, საღამოს დალიოთ 100 ჭიქა ჩაი და მოისვენოთ სასტუმროში.

...**რომ** ექვსი კილოგრამი მარწყვით შეგიძლიათ შეიძინოთ ყველაზე კარგი ორთვლიანი ველოსიპედი.

...**რომ** ათი ცალი ბროწეულის ფასით რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში ნახოთ შექსპირის „მეფე ლირი", ოპერისა და ბალეტის თეატრში — ფალიაშვილის „დაისი", დაათვალიეროთ ქალაქის ყველა ღირსშესანიშნავი მუზეუმი და სავამოთფენო დარბაზი.

...**რომ** ოცი ტომარა მწვანე ტყემლით იყიდოთ „ვოლგა". (ტომარაში ჩაატიოთ 50 კილო, კილო კი გაჰყიდოთ 5 მანეთად).

...**რომ** 12 კილო ნიგვზით (კილო — 10 მან.) შეგიძლიათ იყიდოთ კოსტიუმი, ხალათი და „მოკასინები".

ნ. მ.

ნახ. რ. მახარაძისა



— მე მარტო ყავა გთხოვეთ...
— რა ვქნა, ბატონო! გეგმა გვაქვს შესასრულებელი.



— რა ქქენი, ლაქის ჩექმები მიშოვნე?!
— ჩექმები ვერ გიშოვნე, მარა „პარტიანკები" და შინელი მოგიტანე.

ნახ. ჯ. ლოლუასი



— საცოდაობა არ არის ამის ხულიგნობაზე დაჭერა?.. შეხედე, რა ზრდილობიანია!

## მგელი და კრავი

მგელი კრავს გამოუდგა. შეშინებული კრავი სამსხვერპლო დარბაზში შევარდა. მგელმა ძახილი დაუწყო: გამოდი გარეთ, თორემ მალე ქურუმი მოვა და ღმერთს შეგწირავსო ზვარაკად.

კრავმა მიუგო: მირჩევნია, ღმერთს შევეწირო ზვარაკად, ვიდრე მგელს.

არაკი გვაუწყებს: ღირსეული სჯობს სიკვდილი, თუ იგი გარდუვალია

## ძუ ლომი და მელა

მელამ ძუ ლომს უსაყვედურა: შვილს ერთის მეტს ვერ შობ, ეს რა ბედანააო.

— ერთს ვშობ, მაგრამ ლომს! — მიუგო მან

საქმე სრულქმნაშია და არა სიმრავლეში.

## დედაბერი და მკურნალი

ერთი დედაბერი იყო. თვალები სტკიოდა. მკურნალი იწვია და უთხრა: მომარჩენ, ფასს გადაგიხდი, არა და არაფერს გაძლევო.

ექიმი დაეთანხმა და მკურნალობა დაუწყო. ყოველდღე მიდიოდა და თვალებზე რაღაც მალამოს სცხებდა. თვალებახვეული ავადმყოფი ვერაფერს ხედავდა, ხოლო ექიმი, რასაც მოიხელთებდა, სახლიდან გაჰქონდა. ავადმყოფი გრძნობდა, თუ როგორ ცარიელდებოდა მისი სახლი და როცა თვალები სულ მოურჩა, სახლში უკვე აღარაფერი ჰქონდა. ექიმმა მოწმეები იახლა და საფასური ითხოვა. დედაბერმა უთხრა: სული წამიწყდეს, თუ უწინდელზე უკეთ რამეს ვხედავდე. თუმცა თვალები მტკიოდა, სახლში ათას რამეს ვხედავდი, ახლა კი ვერაფერს ვხედავ, ყველაფერი გაქრა და შენ კი მეუბნები, მორჩენილი ხარო.

## თიკანი და მგელი

თიკანი სახლის სახურავზე წამოსკუპებულიყო და მგელს თავზე ქოქოლას აყრიდა: შე გლახაკ, შე ასეთო და ისეთოო.

— შენ კი არა, ის ადგილი დამცინის, სადაც ახლა შენ შემოსკუპებულხარ! — მიაძახა მგელმა.

არაკად გეტყვით: დრო და მდგომარეობა აყოყოჩებს ხშირად ყოველ ჩვენგანს.

## არწივი

არწივი კლდეზე გადმომჯდარიყო და კურდღელს უდარაჯებდა, მაგრამ თვით მას თურმე მონადირე დარაჯობდა. საკუთარ მკერდში გაჩრილი ისრის ფრთას გადმოხედა და სინანულით თქვა: ვაგლახ მე, საკუთარი ფრთით რომ ვკვდები!

არაკი გვაუწყებს: მეტად ძნელია, როცა შენივე იარაღით გიღებენ ბოლოს.

## კაცი, რომელმაც ქანდაკება დაამსხვრია

ერთს კაცს სახლში ხის ღმერთი ედგა. სულ იმას ეხვეწებოდა ღვთის ქანდაკს, რომ ამ კაცის ცხოვრება გაეუმჯობესებინა. მაგრამ ღმერთმა მის მუდარას ყური არ ათხოვა და მცირედიც არა უბოძა რა. განრისხებულმა კაცმა ღმერთს ხელი სტაცა, თავქვე დაამხო და დალეწა. დამსხვრეული კერპიდან ზღვა ოქრო დაცვივდა. კაცმა ოქრო ხელებში ჩაბღუჯა და ღმერთს მიაძახა: დიდი რეგვენი ბრძანებულხარ, ჩემმა მზემ! როცა გეთაყვანე და გემუდარე, არა მოიღე რა ჩემდა წყალობად, თავ-პირი გიმტვრიე და აგერ უთვალავი ლარი მიბოძე!

არაკი შეგვაგონებს: ბოროტი კაცი თხოვნით კი არ ჩაიდენს სიკეთეს, არამედ იძულებით.

## მაიმუნი და დელფინი

მეზღვაურებმა, როცა შორ ზღვაში გადიან, გასართობად ცელქი მაიმუნის წაყვანა იციან ხოლმე. ჰოდა, ერთხელ, სწორედ მაიმუნი ჰყავდათ წაყვანილი. კონცხს რომ მიუახლოვდნენ, ქარიშხალი ატყდა, ხომალდი ამოყირავდა და ყველანი წყალში ჩაცვივდნენ. მაიმუნი იხრჩობოდა, დელფინმა დაინახა, იფიქრა, ვინმე ძე-ხორციელია, მოდი, გადავარჩენო. ზურგზე შეისვა და ნაპირისკენ გაეშურა. ათენელთა ნავსაყუდელს რომ მიუახლოვდნენ, დელფინმა მაიმუნს ჰკითხა, ათენელი ხომ არა ხარო?

— მე სწორედ მათი ბრწყინვალე გვარის ჩამომავალი ვარ! — უთხრა მაიმუნმა.

— პირეონი იცი? — ჰკითხა დელფინმა.

მაიმუნმა იფიქრა, აქ ლაპარაკი ვილაც ცნობილ კაცზეაო და უპასუხა: ვიცი რას მიქვია! ჩემი უპირველესი ძმა და მეგობარია.

დელფინი განრისხდა, მაიმუნი წყალში ჩაძირა და დაახრჩო.

ეს იგავი მასზეა, ვინც ჭეშმარიტებაზე ყბედობს და ნამდვილად კი ჭეშმარიტებისა არა გაეგება რა.

## კურდღლები და ბაყაყები

ერთხელ კურდღლები შეიკრიბნენ და თავიანთ ბედზე ჩივილი დაიწყეს: „მუდამ შიშით და გასაჭირით ვცხოვრობთ, ყველა ძაღლი და მამაძაღლი ხელს ჩვენზე იღებსო. კაცია, — ჩვენ მოგვდევს მოსაკლავად, ძაღლია, — ჩვენ გვიყეფს, ძერაა და ჩვენ გვესხმის თავს. ამ ფათერაკებით სავსე სიცოცხლეს სჯობს, ერთად დავიხოცოთ". თქვეს ეს და თავის დასახრჩობად ტბას მიაწყდნენ. ნაპირზე ბაყაყები ისხდნენ. მათკენ მორბენალთა ჩამიჩუმი რომ ესმათ, დაფრთხნენ და წყალში ჩაცვივდნენ. მეწინავე კურდღელმა ეს რომ დაინახა, მობრუნდა და თავისიანებს მიაძახა: შეჩერდით, ძმებო! თავის მოკვლა აღარ ღირს, ამ ქვეყნად ჩვენზე ძაბუნი არსებანიც ყოფილან!

სხვათა უბედურება საკუთარს გვიადვილებს ხოლმე.

ძველბერძნულიდან თარგმნა
გიგლა სარიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ა. კანდელაკისა



— იქ, ხიდზე რომ გამოგვატარეს, თითო მანეთი იმათ; აქ სადგურში, უკვე ერთი კვირაა გვაჩერებენ, თითო მანეთიც ამათ; ვაგონები რომ მოვითხოვეთ და ხელს გვიწყობენ — 2 მანეთი იმათ; მეისრეებმა და ჩამბარებლებმა ვაგონები რომ გამონახონ, თითო მანეთიც იმათ; ვაგონები დასატვირთად რომ ჩამოაყენონ, თითო მანეთიც იმათ; თურქულიანი ცხვარია, არ გაგვიშვებთო, რომ გაგვიშვეს, ორ-ორი მანეთიც იმათ; წასვლის წინ პატარა გზის დასალოცი... იქაც 3 მანეთი... მეტი არცა ღირხართ!

## უცხოური იუმორი

— რა დროს დგებით ზაფხულობით?!
— როგორც კი მზის პირველი სხივი შემოიჭრება ჩემს ფანჯარაში.
— ძალიან ადრე არ არის?
— არა, ჩემი ოთახი დასავლეთისკენ იყურება.

**შვილიშვილი:** ბაბუ! გინდა შენი დაბადების დღეზე ჩიბუხი გაჩუქო?
**ბაბუა:** ეს ძალიან კარგი იქნება, მერი, მაგრამ მე მაქვს ჩიბუხი.
**შვილიშვილი:** არა მგონია, რომ გქონდეს. მე ახლახან გავტეხე იგი.

### რესტორანში

**კლიენტი — ოფიციანტს:** ჩვენს მაგიდასთან მობრძანდით! მგონი, ეს თევზი არაა ისეთი ახალი, როგორიც გასულ კვირას მოგვართვით!
**ოფიციანტი:** რას ბრძანებთ, ბატონო. ეს სწორედ ის თევზია.

— **რაც** უფრო ძლიერ წვიმს, მით უფრო მიხარია.
— თქვენ ოპტიმისტი ყოფილხართ!
— არა, მე ქოლგების გამყიდველი ვარ.

**მასწავლებელი:** საგნის აღმნიშვნელ სიტყვას არსებითი სახელი ეწოდება. ვის შეუძლია, დამისახელოს არსებითი სახელი?
**მოსწავლე:** ძროხა.
**მასწავლებელი:** სწორია! მეორე არსებითი სახელი?
**მოსწავლე:** მეორე ძროხა.

**მასწავლებელი:** რას გვაძლევს ცხვარი?
**მოსწავლე:** მატყლს.
**მასწავლებელი:** რას ვაკეთებთ მატყლით?
**მოსწავლე:** არ ვიცი.
**მასწავლებელი:** რისგანაა გაკეთებული შენი პალტო?
**მოსწავლე:** მამაჩემის ძველი პალტოსგან.

**მასწავლებელი:** ვის შეუძლია გვაჩვენოს რუკაზე ამერიკა?
ნიკო მიდის რუკასთან და აჩვენებს ამერიკას.
**მასწავლებელი:** აბა მითხარით, ვინ აღმოაჩინა ამერიკა?
**მოსწავლეები:** ნიკომ.

ინგლისურიდან თარგმნა **მანანა გოშაძემ**

### სინანული

**საფლავის** ქვასთან ერთი მამაკაცი მწარედ ქვითინებდა; თანაც ერთსა და იმავე ფრაზას იმეორებდა: „შენ არ უნდა მომკვდარიყავი!“ „შენ არ უნდა მომკვდარიყავი!“.

— ვინ განისვენებს აქ, მამაა თქვენი თუ ვაჟიშვილი? — ჰკითხა გამვლელმა.

— არა, გეთაყვა, აქ ჩემი ცოლის პირველი ქმარია დასაფლავებული.

### ცოდნის ფასი

**ერთხელ**, საფრანგეთის მეფემ თავის ასტროლოგს მნათობთა შესახებ რაღაც ჰკითხა, რაზედაც ასტროლოგმა მოახსენა, არ ვიციო.

— ფულს იმიტომ გიხდი, რომ უნდა იცოდე! — უსაყვედურა მეფემ.

— თქვენ მე იმის საფასურს მიხდით, რაც ვიცი, თორემ იმის გადასახდელად, რაც არ ვიცი, მთელი სახელმწიფოს ქონება არ გეყოფოდაო, — მიუგო მან.

### დამჯერი ბიჭუნა

— **რა** გატირებს, ბიჭუნი?

— დედამ დამარიგა, ყველა ავტომობილი უნდა გავატარო და მერე გადავიდე გადასასვლელზე, მაგრამ, ამდენი ხანია, ვდგავარ და არც ერთი არ მოდის.

გერმანულიდან თარგმნა **შ. ამირანაშვილმა**

## ატელიეში

— მე მინდა „ტრაპეცია“, დაბალწელიანი, წინ — ჯიბეჩაჭრილი, უკან — ჯიბეამოჭრილი, მუხლებში — ვიწრო, კოჭებში — ფართო, სიგანით ამდენი და ამდენი! — ვაძლევ შეკვეთას და თხუთმეტჯერ გადათვლილ თხუთმეტ გატკიცინებულ მანეთიანს ვაწყობ მაგიდაზე.

მოვდივარ დანიშნულ დროზე. შარვალს ვიზომავ და სიცხის გასაზომი ვხდები.

— რას ჰგავს ეს? — კაცს აღარ ვგავარ და ნადირივით ვღრიალებ.

— შარვალია, ჯიგარო, და სიმღერას ვერ გეტყვის!

მკერავის პასუხს ფერ-უმარილივით აცხია უსინდისობის უტყუარი საბუთი — ნაძალადევი ღიმილი.

— ესაა ტრაპეცია? — ტრაპიზონამდე აღწევს ჩემი ბღავილი.

— გეომეტრია რომ ასე ვიცოდე, მათემატიკურზე შემასწრებდა ვინმე?!

— დაუძახეთ გამგეს!

— ის უკეთესს შეგიკერავს, თუ?!

ატელიედან ნახევარტრაპეცია და ნახევრადდაღრეჯილი სახე გამომაქვს.

**ვანო ცინცაძე.**



ნახ. მამია მალაზონიასი

— ისიკ-ყულის დასასვენებელი სახლის საგზური მომეცით!
— რა გინდა ამ სიშორეს?
— აგა, ჩვენს კურორტებზე ღვინის სმამ მომკლა!

— ლევიკო, ყურები რისთვის გაქვს თუ მეტყვი, კამფეტს მოგცემ! — ვეჭიდებოდი მეზობლის ბავშვს და თან ვაზაზე დაყრილ კამფეტს მუჭით ვიღებდი.

— იმიტომ, რომ ქუდი თვალებზე არ ჩამომიცურდეს.

— კარგი. აბა, ახლა მითხარი, თმები რისთვის გაქვს?

— იმიტომ, რომ პარიკმახერმა გამკრიჭოს.

— ცხვირი რისთვის გაქვს, ლევიკო?

— იმისთვის, რომ მ#ვიხოცო.

ეს გასაუბრება მთელი ჩვენი ოჯახისთვის კარგ კონცერტს უდრიდა. გულიანად ვიცინოდით და შეკითხვებს განვაგრძობდით. თან „კონცერტი“ რომ უცებ არ შეწყვეტილიყო, ლევიკოს წინსაფრის ჯიბეს კამფეტებით ვუვსებდით.

— თვალები რისთვის გაქვს, ლევიკო?

— რომ კარგად დავიძინო.

— თავი რისთვის გაქვს?

— ქუდისთვის.

— ხელები?

— რომ კოვზი ავიღო და მაწონი შევსანსლო.

ყველაფერი ეს თითქოს გუშინ იყო. ხომ იცით, წუთისოფელი რა წუთში გადის. მე სიბერე მომერია. მეზობლის ბავშვი გაიზარდა, დავაჟკაცდა, თანამდებობის პირი, დიდი ლევიკო გახდა. ბავშვობას რომ ვახსენებთ, სიცილად არ ყოფნის. ახლა მას უკვე „გაზრდილი“ კაცის, სულ სხვა შეხედულებები აქვს.

— ცხვირი იმისთვის მაქვს, ნაცნობს რომ შევხვდები, თუ ის ცხოვრებაში „რაღაცას“ არ წარმოადგენს, მაღლა ავწიო და გავუარო. ხელები— მაგიდაზე რომ მაგრად დავკრა და ხელქვეითს ძალა ვაგრძნობინო. ყურები იმისთვის მაქვს, რომ ახლობლების რჩევა და თანამშრომლების კრიტიკა ერთი ყურიდან მეორეში გავუშვა. თვალებით რაც მომწონს დავინახავ და რაც არა, მოვხუჭავ. თმები, როგორც ხედავთ, აღარ მაქვს და არც არის საჭირო.

...თავზე აღარაფერს ვეკითხები, რადგანაც ვიცი, რომ ლევიკოს ამაზე ძველებური, ბავშვური შეხედულება შერჩა...

ზაირა სხირტლაძე

## ნაკვესები

ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ორივე ქურდია, — გაიხსენა ანდაზა მოსამართლემ და აქლემის ქურდობაც ნემსის ქურდს დააბრალა.

— : —

როცა მაიმუნი ბაძავს ადამიანს, ეს მაიმუნობაა, მაგრამ როცა ადამიანი ბაძავს მაიმუნს, ეს უკვე ადამიანობა არ არის.

— : —

შეყვარებულ ქალ-ვაჟს ძალიან უჭირთ უთხრან ერთმანეთს ის, რასაც ფიქრობენ. ამიტომაც ხშირად ეუბნებიან ერთმანეთს იმას, რასაც არ ფიქრობენ.

— : —

— ჩვენი დირექტორი ცხვარივით კაცია!
— მართალი ხარ, სულ „მე, მე“-ს გაიძახის.

— : —

— გისურვებ წინსვლას! — უთხრა მეგობარმა მეგობარს, როცა ეს უკანასკნელი უფსკრულის პირას მდგომი დაინახა.

— : —

როცა დამნაშავე სასჯელს ემალება, იცვლის გვარს და ეს გასაგებიცაა. გაუგებარია, რატომ არ იქცევა ასე ზოგიერთი მწერალი, როცა სამწერლო ასპარეზზე გამოდის?

უჩა ფანცულაია

# ეს თამადა რა ყოფილა!

— გაუმარჯოს ჩვენს პატარა, მაგრამ მაინც დიდ კუთხეს და იმ ჩვენს ტრადიციებს, რომელიც...

— ბატონო, ნუ გადამასხამთ თავზე!..

— რა არის, კაცო, სულ ხომ არ უნდა სვათ? ხან იმღერეთ!

— ქალები ნუ ერევით საქმეში, იყავით მანდ ჩუმად!

— ქალები კი არა, მანდილოსნები! თუ ძველ ტრადიციებზე მიდგა საქმე...

— ნადაელი პრიამო, სპოიტე ჩტონიბუდ ინასტრანნოე.

— რას სვამ მაგას? ქართველ კაცს ლიმონათიანი ღვინით სამშობლოს სადღეგრძელოს დალევა გეკადრება?!

— ღვინოა, უფალო თამადა!

— მანახე!.. ღვინო კი არა, წყალში გახსნილი მომპასია. ჯარიმა მაგას!

— რაღაც დაცხასავით...

— გაიხადეთ, ვისაც გცხელათ!

— სირცხვილია, თამადა ბატონო, ქალები არიან!

— თუ გცხელა, გაიხადე! საფრანგეთში კი არა ვართ...

— თურმე, კაცი რესტორანში არ შევა, თუ კოსტუმი არ აცვია და ჰალსტუხი არ უკეთია...

— მალადეც!

— ე, მასე, ჯემპრიც მიაყოლე!..

— ესენი, ალბათ, თამადის სადღეგრძელოს ვ პლავკახ ვიპიუტ!

— მე, ბატონო თამადა, გულახდილად გეუბნებით, ვერ დავლევ! უკაცრავად, მაგრამ წნევა მაქვს...

— აიღე, დალიე!

— კაი ახლა, ნუ დაალევინებ, ხომ იცნობ მაგას? ეგ არის ექიმი...

— მაგას ვინ არ იცნობს! რაც მაგან ხალხი დახოცა... მოკაკვოს თითი!

— ა, ინებე!

— ახლა დალიე!

— კაცო, ხომ მოვკაკვე თითი?!

— თუ ღვინის დალევა არ შეგეძლო, რას მოდიოდი აქ?!

— თქვენი სიდედრი მაგის ცოლის ხატვის მასწავლებელი იყო სკოლაში.

— აუჰ! მეც არა ვთქვი, საიდან აქვს-მეთქი ასე ნაცნობი სახე? დალიოს!

— მაინც დაალევინეს. ახლა სახლში რომ მივალთ და დაწვება... უიმე! მიშველეეთ!..

— არიქა, წყალი!.. ენა წაერთვა, სკორი პომოშჩს გამოუძახეთ!..

— ფეხი გაუშეშდა, ფეხი!

— დავასხი თავსლაფი! დაალევინეთ ვალერიანი და გაუშვით სახლში!

— ფრთხილად გაიყვანეთ, ფრთხილად!

— აბა, ახლა სიჩუმე! სუფრა გრძელდება! არავინ გაბედოს წასვლა! რას ჩურჩულებ შენ მანდ?!

— ჰე, ბიჭო, მოვუსმინოთ თამადას!

— ბრძანე, ბატონო, ბრძანე!

— ე, მასე! ყველამ დალია ჩვენი მიწა-წყლისა და ადათ-ჩვევების სადღეგრძელო?!.

ზ. ყორღანაშვილი

ნახ. დ. ზარაფიშვილისა



— რატომაა თეთრეული სველი?
— აბა, მშრალი რომ მოვიტანე, მითხრეს გაურეცხავიაო.

ნახ. ნ. მალაზონიასი



— დავიღუპეთ! მგონი სასტუმრო „ივერიის“ ლიფტი დაუყენებიათ!

მთავარი რედაქტორი **ნოდარ დუმბაძე**. სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პ/მგ. მდივანი), ს. კლდიაშვილი. ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე (მთავ. რედ. მოადგილე). ნ. შველიძე, ო. ჭელიძე. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ტელ. 9-76-62, 3-10-78. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა. ხელმოწ. დასაბ. 14/III 1967 წ. ქაღ. ზომა 70 × 108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდ. 1. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 919. უე 01964. ტირაჟი 64.000.




ИНДЕКС 76817

— ხომ გითხარით, ძველი პარიკმახერია და ამის აგრონომად და-
ნიშვნა არ შეიძლება-მეთქი?!